2014/06/32 **9 ივლისი, 2014 წ.**

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრს,

ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

ბატონო გიორგი მოგახსენებთ, რომ 2014 წლის 14 მარტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტის ბრძანების 1-1/72 საფუძველზე (იხ. დანართი 1, 2 ფურცლად), წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 24 თებერვლის 2014 წლის ადმინისტრაციული საჩივარი OPD/CPT14-002 (იხ. დანართი 2, 11 ფურცლად). აღნიშნული საჩივრის განხილვის მიზნით ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა გაიმართა 2014 წლის 26 მარტს 15:00 საათზე (იხ.დანართი 1). ზეპირ მოსმენას ესწრებოდნენ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავჯდომარე ლევან ავალიშვილი და იურისტი თათია ელიაძე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში. ამასთან ამავე მუხლის მე-2-ე და მე-3-ე პუნქტების თანახმად აღნიშნული ვადის გაგრძელების აუცილებლების შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება საჩივრის მიღებიდან არა უგვიანეს 7 დღისა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობებს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს. იქიდან გამომდინარე რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის არ მიუღია რამე სახის ცნობა საჩივრის განხილვის ვადის გახანგრძლივების შესახებ, ამასთან იმის გათვალიწინებით რომ საჩივრის წარმოებაში მიღებიდან გასულია სამ თვეზე მეტი გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/72 ბრძანების (იხ.დანართი 1)

საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული გთხოვთ მიგვითითოთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საკუთარი ვალდებულების დარღვევის გამომწვევ მიზეზებზე.

პატივისცემით,
გამგეობის თავჯდომარე

ლევან ავალიშვილი